საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. თებერვლის 5. № 3 ტფილისი

შინაარსი

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

14. 1935 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

ფინანსები.

15. 1935 წელს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღებით კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობების დაბეგვრის შესახებ.

ზრომა.

16. ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი ბიბლიოთეკების მომუშავეთათვის დიფერენცირებული ხამუშაო ხელფასის დაწესების შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

14. დადგენილება ს. კ. ს.

1935 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოსალოდნელი წყალდიდობის გამო, რაც საქართველოს სსრ მეურნეობისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოწყობილ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან საგანგებო კომისია წყალდიდობასთან ბრძოლისათვის ა/კსფსრ-ის შინაგან სა-

ქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს (საქართველოს სსრ-ში) უფროსის თავმჯდომარეობით და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სამარცვლეულო-სამმართველოს უფროსისა, საქართველოს სსრ გზატკეცილების, ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსისა და ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციის წარმომადგენლის მონაწილეობით. დაეკისროს ამ კომისიას წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლით უშუალოდ დაინტერესებულ უწყებათა, დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მოქმედების კოორდინაცია, უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა ყველა იმ ღონისძიების განხორციელების საქმისათვის, რაც უზრუნველჰყოფს მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოსალოდნელი წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის მომზადებას და ჩატარებას, კერძოდ, უზრუნველჰყოფს წყლის ნაპირების გამმაგრებელი სამუშაოების თავის დროზე შესრულებას და ახლად მოწყობილი ნაპირების გამმაგრებელ ნაგებობათა დაცვას.

2. წინადადება მიეცეს იმ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე იმ საქალაქო და სასოფლო საბჭოებს, რომელთა ტერიტორიაზედაც მოსალოდნელია მიმდინარე წლის გაზაფხულზე წყალდიდობა, დაუყოვნებლივ მოაწყონ საგანგებო კომისიები წყალდიდობასთან ბრძოლისათვის—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის და საქალაქო და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების თავმჯდომარეობით, კუთვნილებისამებრ, და წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოებისა და ადგილობრივი საგზაო ორგანოების წარმომადგენელთა შედგენილობით.

ზემოაღნიშნულმა ადგილობრივმა საგანგებო კომისიებმა: ა) დაუყოვნებლივ უნდა დაამყარონ კავშირი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საგანგებო კომისიასთან: სარაიონო კომისიებმა—უშუალოდ, ხოლო სასოფლო და საქალაქო კომისიებმა (გარდა იმ კომისიებისა, რომელნიც არსებობდენ დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებთან)—სათანადო სარაიონო საგანგებო კომისიების მეშვეობით, და ბ) უნდა იმოქმედონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგანგებო კომისიის დირექტივებისა და მითითებების მიხედვით.

3. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს იხმარონ ღონისძიებანი წყალდიდობასთან ბრძოლის ადგილობრივი კომისიების უზრუნველყოფისათვის საჭირო საშენი მასალით (წნელი, ფიჩხი და სხვა ხე-ტყის მასალა, რაც საჭიროა წყალდიდობასთან საბრძოლველად შესაფერ ნაგებობათა შოწყობისათვის).

წინადადება მიეცეს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მატერიალური ბალანსების სექტორს უზრუნველყოს წყალდიდობასთან საბრძოლველად საჭირო სამუშაოები საშენი მასალით ცენტრალიზებული ფონდებიდან.

4. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შემოღების ხელმე, წყალდიდობასთან ბრძოლის ცენტრალური და ადგილობრივი [illegible] გებო კომისიების მოთხოვნით, მოსახლეობისათვის შრომისა და [illegible] ბეგარა იმ წესისამებრ, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 13-ის დადგენილებით „სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის შრომის ბეგარის შემოღების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-16 №-ი, მუხ. 127; 1933 წ. № 12, მუხ. 166).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. იანვრის 17, № 39.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 24 №-ში 1935 წ. იანვრის 28.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

15. დადგენილება ს. კ. ს.

1935 წელს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი ვამოსაღებით კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობების დაბეგვრის შესახებ.

„ქალაქებსა და სოფლებში საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი 1935 წლის გამოსაღების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის იანვრის 14-ის დადგენილების (სსრკ ც. ა. კ-ტის „იზვესტია“ 1935 წ. № 13) და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 19-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა“ 1934 წ. № 19) თანახმად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღები 1935 წელს ჩატარებულ უნდა იქნეს, ქვემოთ აღნიშნულ საფუძველზე, სოფლად, საგარაკო დაბებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, სადაც სასოფლო მეურნეობის მწარმოებელი მოსახლეობა 1934 წელს დაბეგრილი იყო სასოფლო სამეურნეო გადასახადით.

შენიშვნა. ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში გამოსაღებით, ამა დადგენილების წესისამებრ, იბეგრებიან მხოლოდ ის მეურნეობანი, რომელნიც 1934 წელს დაბეგრილ იყვნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ან რაიმე შეღავათის გამო განთავისუფლებულ იქნენ ამ გადასახადისაგან.

2. გამოსაღებით დაიბეგრებიან:

ა) კოლმეურნეთა მეურნეობანი;

ბ) ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობანი.

3. კოლმეურნეთა მეურნეობანი და ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობანი იბეგრებიან გამოსაღებით შემდეგი რაოდენობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და რაიონების დასახელება	კოლმეურნეთა მეურნეობანი		ერთპიროვნული მუშა დაბეგვრიდან იყვენ. ...
	რომელთაც არა აქვთ შემოსავლის განუსაზოგადოებელი წყაროები	რომელთაც აქვთ შემოსავლის განუსაზოგადოებელი წყაროები	რომელთაც არა ჰყავთ მუშა-საქონელი და არა აქვთ არც საბაზრო და არც არასამიწათმოქმედო შემოსავალი
1. აფხაზეთის ასსრ, აჭარისტანის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი.	7 მან.	30 მან.	38 მან.
2. დუშეთის. ყაზბეგის, თიანეთის, წალკის ბორჩალოს, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ხორაგოულის, ჭიათურის, ჩხარის, ტყიბულის, ონის, ცაგერის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ფოთის.	7 მან.	25 მან.	35 მან.
3. თელავის, საგარეჯოს, ალბულაბ-მანგლისის, ყარაიას, ბაშკიჩეთის, კასპის, გორის, სტალინისის, ბორჯომის, ზესტაფონის, ენუგიძის, ჭუთაისის, ვანის, სამტრედიის, ხონის, აბაშის, მარტვილის, სენაკის, ხობის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, მახარაძის.	7 მან.	30 მან.	40 მან.
4. ტფილისის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ლუქსემბურგის, ბაღდადის, ზუგდიდის.	7 მან.	35 მან.	50 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონობანი, რომელნიც 1934 წელს სოფლო-სამეურნეო გადასახადით განაკვეთების კვალობაზე.		ერთპიროვნული მეურნეობანი, რომელნიც 1934 წელს დაბეგვრილ იყვნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადით — პროგრესიული განაკვეთების კვალობაზე.	
რომელთაც არა ჰყავთ მუშა-საქონელი, მაგრამ აქვთ საბაზრო ან არასამიწათმოქმედო შემოსავალი.	რომელთაც ჰყავთ მუშა-საქონელი.	რომელთაც არა ჰყავთ მუშა-საქონელი და არა აქვთ არც საბაზრო და არც არასამიწათმოქმედო შემოსავალი.	რომელთაც ჰყავთ მუშა-საქონელი ან აქვთ საბაზრო ან არასამიწათმოქმედო შემოსავალი.
43 მან.	85 მან.	1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 85%, ხოლო არა ნაკლებ 43 მანეთისა.	1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 130%, ხოლო არა ნაკლებ 85 მანეთისა.
40 მან.	75 მან.	1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 83%, ხოლო არა ნაკლებ 40 მანეთსა.	1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 120% ხოლო არა ნაკლებ 75 მანეთისა.
47 მან.	85 მან.	1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 85%, ხოლო არა ნაკლებ 47 მანეთისა.	1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 130%, ხოლო არა ნაკლებ 85 მანეთისა.
57 მან.	95 მან.	1934 წლის სასოფლო-სამეურნეო, გადასახადის 90%, ხოლო არა ნაკლებ 57 მანეთისა.	1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 145%, ხოლო არა ნაკლებ 95 მანეთისა.

კულაკური მეურნეობანი ყველგან გამოსაღებს იხდიან 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 200%-ის რაოდენობით.

4. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით პროგრესიულად დაბეგრილ მეურნეობათა გარდა, კოლმეურნისა და მშრომელი ერთპიროვნული მეურნის მეურნეობას, რომელსაც ორზე მეტი არაშრომაუნარიანი წევრი ჰყავს, გამოსაღების რაოდენობა შეუმცირდება: როდესაც სამი არაშრომაუნარიანი წევრია—20%-ით, როდესაც ოთხი არაშრომაუნარიანი წევრია—30%-ით, და როდესაც ხუთი და მეტი არაშრომაუნარიანი წევრია—40%-ით.

5. კულაკური მეურნეობებს მე-3 მუხლში აღნიშნული გამოსაღების განაკვეთები შეეფარდებათ მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე უცვლელად.

6. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები აწესებენ საშუალო განაკვეთებს ამ რესპუბლიკებსა და ოლქში შემავალი რაიონებისათვის.

7. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები, მე-3 მუხლით დადგენილ ფარგლებში, აწესებენ გამოსაღების საბოლოო განაკვეთებს ცალკეული სოფლებისათვის, ხოლო ამა თუ იმ შემთხვევაში—ცალკეული კოლექტიური მეურნეობებისათვისაც. ეს განაკვეთები თანაბარი უნდა იყოს უწყებული სოფლის ან უწყებული კოლექტიური მეურნეობის ყველა მეურნეობისათვის.

8. თვითეულ რაიონსა და სასოფლო საბჭოში ან თვითეულ სოფელში განაკვეთების დადგენის დროს უცვლელად უნდა დარჩეს მეურნეობათა თვითეული ცალკე კატეგორიისათვის გამოსაღების საერთო თანხა, იმ საშუალო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრული, რაც დადგენილია რესპუბლიკებისათვის, ოლქისათვის და რაიონისათვის.

9. ის კოლმეურნენი და მშრომელი ერთპიროვნული მეურნენი, რომელთაც აქვთ არასამეწყალმოქმედო შემოსავალი, რაც 1934 წელს დაბეგრილი ან დასაბეგრი იყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, არ დაიბეგრებიან ცალკეულად კულტურული გამოსაღებით ამ შემოსავლისათვის.

10. მშრომელი ერთპიროვნული მეურნის მეურნეობა, რომელიც შევიდა კოლექტიურ მეურნეობაში გამოსაღების გადახდის პირველ ვადამდე, დაიბეგრება კოლმეურნეთა მეურნეობის თანაბრად.

გამოსაღების გადახდის უკანასკნელ ვადამდე კოლექტიური მეურნეობიდან გამოსული ან გამორიცხული მეურნეობა დაიბეგრება როგორც ერთპიროვნული მეურნის მეურნეობა შემოსავლის იმ წყაროების მიხედვით, რომლებითაც იგი კოლექტიურ მეურნეობაში შევიდა, და იმ წყაროების მიხედვით, რაც განსაზოგადოებული არ იყო კოლექტიურ მეურნეობაში.

11. გამოსაღებისაგან განთავისუფლდებიან კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობანი:

ა) ზემო-სვანეთის რაიონისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ყველა იმ სოფლისა, რომელიც შედის დუშეთის რაიონის ბარისახოს, ბაცალიგოს, არხოტის და შატილის სასოფლო საბჭოების შედგენილობაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) თიანეთის რაიონის სოფ. ხაშალისა და ბაჩალისა.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ გაანთავისუფლონ მიწლად გამოსაღებით დაბეგვრისაგან ცალკეული სოფლების კოლმეურნეთა და მშრომელ მეურნეთა მეურნეობანი.

12. გამოსაღებით დაბეგვრისაგან განთავისუფლდებიან მთლად კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომლების შედგენილობაშიაც შედიან:

ა) სსრ კავშირის, ა/კსფსრ ან საქართველოს სსრ ორდენით ან საპატიო რევოლუციონური იარაღით დაჯილდოებული პირი და აგრეთვე შრომის გმირი;

ბ) მერიგეთა და უმცროს თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც ვადიან (შეუწყვეტელ) ან ზევადიან სამსახურში იმყოფება;

გ) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის საკადრო ან მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რეზერვში მყოფი სამხედრო მსახური;

დ) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის პირი, რომელიც გრძელვადიან შვებულებაში, სათადარიგოდ და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში იმყოფება და, „თავდაცვა-ავიაქიმის“ ორგანიზაციის საშტატო მომუშავის სახით, ატარებს მშრომელთა სამხედრო მომზადებას;

ე) მერიგეთა და თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც ეწევა ნამდვილ სამხედრო სამსახურს ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში ან ჯარს-გარეშე წესით; მერიგეთა და თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელიც გრძელვადიან შვებულებაში იმყოფება, და მერიგეთა და თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო-ვალდებული (წვევამდელი და მოთადარიგე)—იმ ხნის განძავლობაში, რაც ისინი იმყოფებიან მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში მათთვის დაწესებულ შეკრებაზე გაწვევით ან ინსტრუქტორად ამ შეკრების ჩასატარებლად;

ვ) განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოთა და ნაგებობათა გამხედროებული სამცველოს და გამხედროებული სახანძრო სამცველოს სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირი; მუშათა და გლეხთა მილიციის ოპერატიულ სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირი და აგრეთვე შრომა-გასწორების დაწესებულებათა ოპერატიული და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირი;

ზ) ყოფილი წითელგვარდიელი და წითელი პარტიზანი;

თ) ომისა და შრომის ინვალიდი, რომელიც მიკუთვნებულია ინვალიდობის პირველი, მეორე და მესამე ჯგუფისათვის.

13. მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებს, რომელთა შედგენილობაშიაც შედიან სამხედრო მსახურნი და სხვა, მე-12 მუხლში ჩამოთვლილ პირნი, აქვთ შემდეგი შეღავათები:

ა) მეურნეობა მთლად განთავისუფლდება გამოსაღებისაგან, უკეთუ იგი 1934 წელს განთავისუფლებული იყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან;

ბ) სხვა შემთხვევაში მეურნეობას უმცირდება გამოსაღები გამოანგარიშებული განაკვეთის 20%-ის დაკლებით, ხოლო უკეთუ მეურნეობაში არ არის, მე-12 მუხლში ჩამოთვლილთა გარდა, სხვა შრომაუნარიანი წევრი,—40%-ის დაკლებით.

14. სასოფლო საბჭოს შეუძლია გაანთავისუფლოს გამოსაღებით დაბეგვრისაგან მთლად ან ნაწილობრივ კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა კალკეული მცირეძალოვანი მეურნეობანი. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს 1934 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულ კოლმეურნეთა მეურნეობებს.

15. დაწესებულ იქნეს კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებისათვის გამოსაღების გადახდის შემდეგი ვადები:

აფხაზეთის ავტ. სსრ-სა, აჭარისტანის ავტ. სსრ-სა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში და ყაზბეგის, თიანეთის, წალკის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ასპინძის, ახალციხის, ადიგენის, ჩხოროწყუს და წალენჯიხის რაიონებში:

I-ი ვადა 1935 წ. თებერვლის 20—გამოსაღების განაკვეთის 50%
II „ „ მარტის 15 „ „ 50%

დანარჩენ რაიონებში:

I-ი ვადა: 1935 წ. თებერვლის 15—გამოსაღების განაკვეთის 50%
II „ „ მარტის 15— „ „ 50%

კულაკური მეურნეობანი იხდიან გამოსაღებს სრულად 1935 წ. თებერვლის 15-თვის, და მათ არავითარი შეღავათი გამოსაღებით დაბეგვრაში არა აქვთ.

16. შემოსული კულტურული გამოსაღების მთელი 100% ჩაირიცხება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში; ამასთანავე, აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ტერიტორიაზე შემოსული კულტურული გამოსაღები მთლად გადაიცემა ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ბიუჯეტებში; ხოლო რესპუბლიკის დანარჩენ ადგილებში მთლად მიღებული კულტურული გამოსაღების 50% გადაიცემა სათანადო ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტებში.

17. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—დაუყოვნებლივ გაშალონ მასური ჩუშაობა სოფლის მშრომელთა შორის საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საკი-

როებისათვის დადგენილი გამოსაღების კანონის განსამარტებლად და ეფექტურ-ველყონ ამ საფუძველზე გამოსაღების 100%-ით შემოსვლა კანონით დაწესებულ-ვადაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარის მოადგ.: მ. ტოროშელიძე.

საქ სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი: ა. ქავთარაძე.

1935 წ. იანვარის 23
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზაზ. „კომუნისტის" 21 №-ში 1935 წ. იანვრის 24.

ბ რ ო ბ ა

16. დადგენილება ს. კ. ს.

911.4

ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი ბიბლიოთეკების მომუშავეთათვის დიფერენ-ცირებული სამუშაო ხელფასის დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს 1934 წ. ივლისის 1-დან ბიბლიოთეკების მომუშავე-თათვის შრომის სასყიდლის დიფერენცირებული სისტემა ამასთანავე დართული ექვსკატეგორიანი საკვალიფიკაციო განრიგების საფუძველზე, სამი სატარიფო ზოლის მიხედვით და შემდეგი რაოდენობით:

მ ა ნ ე თ ო ბ ი თ

კატეგორია	I ზოლი	II ზოლი	III ზოლი
1 კატეგორია . .	90	80	75
2 „ . . .	105	100	95
3 „ . . .	140	130	120
4 „ . . .	160	150	140
5 „ . . .	185	175	165
6 „ . . .	200	190	180

შენიშვნა. აღნიშნული განაკვეთები შეიფარდება დაწყებითი და საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის დადგენილი ზოლობრივი დაყოფის საფუძველზე.

2. უკეთუ ბიბლიოთეკების მომუშავეთა დიფერენცირებული სამუშაო ხელ-ფასის ჩატარების დროს აღმოჩნდება, რომ ამა თუ იმ მომუშავის ამჟამად ფაქ-ტიურად არსებული სამუშაო ხელფასი აღემატება ამ დადგენილების 1-ლი მუხ-

ლით დადგენილ განაკვეთს, ამ მომუშავის არსებული სამუშაო ხელფასის შემცირება არ შეიძლება.

3. ბიბლიოთეკების გამგეებს, ექვსკატეგორიანი საკვალიფიკაციო განრიგების საფუძველზე დადგენილი ხელფასის გარდა, ეძლევათ დამატებითი ზედნართი ბიბლიოთეკის გამგებლობისათვის შემდეგი რაოდენობით:

ა) იმ ბიბლიოთეკისა, რომლის შტატშიაც არის 1-დან 3 მომუშავემდე (თანჩართვით),—ძირითადი განაკვეთის 15 პროცენტი;

ბ) იმ ბიბლიოთეკისა, რომლის შტატშიაც არის 4-დან 7 მომუშავემდე (თანჩართვით),—ძირითადი განაკვეთის 25 პროცენტი;

გ) იმ ბიბლიოთეკისა, რომლის შტატშიაც არის 8 და მეტი მომუშავე,—ძირითადი განაკვეთის 35 პროცენტი.

4. ბიბლიოთეკების განყოფილებათა გამგენი (საბავშო განყოფილება, მოძრავი ფონდი, ეროვნულ უმცირესობათა განყოფილება, სამკითხველოს, აბონემენტის და წიგნთსაცავის გამგე) იღებენ დამატებით ძირითადი განაკვეთის 15 პროცენტს გამგებლობისათვის.

5. საბიბლიოთეკო დაწესებულებათა მუშაობის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ამ დაწესებულებათა მომუშავეებს შორის სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლისათვის და აგრეთვე საბიბლიოთეკო საქმის რაციონალიზაციის სტიმულირებისათვის შემოღებულ იქნეს ცალკეული მომუშავეებისა და კოლექტივების დაპრემირება მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის. ამ დაპრემირებისათვის მოეწყობა საპრემიო ფონდები, რაც გამოყოფილი უნდა იქნეს ბიბლიოთეკების მომუშავეთა სამუშაო ხელფასის საერთო ფონდიდან ამ ფონდის ერთი პროცენტის რაოდენობით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე: **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ.: **ვ. ლუნკევიჩი.**

1935 წ. იანვრის 17. № 38.

ტფილისი.

დანართი

ბიბლიოთეკების მომუშავეთა საკვალიფიკაციო განრიგება.

1 კატეგორია. ის ბიბლიოთეკარები, რომლებიც მიშვებულ არიან სამუშაოზე, ხოლო სპეციალური საბიბლიოთეკო მომზადება არა აქვთ.

2 კატეგორია. ის ბიბლიოთეკარები, რომელთაც აქვთ განათლება არა ნაკლებ არასრული საშუალო სკოლის ფარგლისა და გაიარეს მოკლევადიანი საბიბლიოთეკო კურსები, და აგრეთვე ის მომუშავეები, რომელთაც აქვთ განათლება არასრული საშუალო სკოლის ფარგლებში და საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ ერთი წლისა.

3 კატეგორია. ის ბიბლიოთეკარები, რომელთაც აქვთ განათლება სრული საშუალო სკოლის ფარგლებში და გაიარეს მოკლევადიანი საბიბლიოთეკო კურსები, და აგრეთვე მომუშავეები დაუმთავრებელი საშუალო განათლებით, რომელთაც აქვთ საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ ორი წლისა.

4 კატეგორია. ის ბიბლიოთეკარები, რომელთაც დამთავრებული აქვთ პედაგოგიური ტექნიკუმი საბიბლიოთეკო განხრით, და აგრეთვე მომუშავეები დამთავრებული საშუალო განათლებით, რომელთაც აქვთ საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ სამი წლისა.

5 კატეგორია. ბიბლიოთეკარები დამთავრებული უმაღლესი არასპეციალური განათლებით და აგრეთვე საშუალო განათლების მქონე მომუშავეები, რომელთაც აქვთ საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ შვიდი წლისა.

6 კატეგორია. ბიბლიოთეკის მომუშავეები დამთავრებული უმაღლესი არასპეციალური განათლებით, რომელთაც აქვთ საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ ორი წლისა.

შენიშვნა. ეროვნულ უმცირესობათა განყოფილებების მომუშავენი სასყიდელს იღებენ ერთი კატეგორიით მეტს.

გ ა ნ რ ი გ ე ბ ა

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობა

კანონთა და განკარგულებათა კრებულის

უფასოდ დაგზავნისათვის 1935 წელს

№№ რიგზე	დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი	ცალების რიცხვი
1	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს	5
2	სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს .	2
3	სასოფლო საბჭოებს	1
4	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათ თანაბარ ცენტრალურ სამმართველოებს	3
5	საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს	7
6	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს	2
7	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის იუსტიციის ცენტრალურ ორგანოებს	3
8	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს.	12
9	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს	5
10	სახალხო სასამართლოებს	1
11	სარაიონო პროკურორებს	1
12	სახალხო გამომძიებლებს	1

ფასი 20 კაპ.

გამოსცემელი საქ. სსრ. ს.კ. ს-ოს / საქმეთა მმართველობა 1935 წ. № 3. პ/მ. რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ; 6/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც; 48... სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 1/II; ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/I; ტირაჟი 1.800.

მთავ. რწმუნ. № 8704. საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა. შეკვ. № 21